


ივერია

№ 20, 1990 წლის 14 იანვარი

„მარად და ყველგან, საქართველო, შე ვარ შენთან, შე ვარო შენი თანამდევნი უკვლავი ხული“



პრავად შობა-ახალწელს, თანაგვებავლენო!

ქართველობისათვის მიმდებარე, განსაცდელებით აღსავსე XX საუკუნემ თავის უკანასკნელი ათწლეულიც გადაგვიშალა. რას გვპირდება იგი? ქართველი ერის წინაშე, ისე როგორც ამ საუკუნის დასაწყისში, კვლავაც ღვთის უმთავრესი ამოცანა დამოუკიდებლობის მოპოვებისა. ბოლშევიკთა ბატონობის სისხლიანმა ხანამ ჩვენს ერს ფიზიკური გადაშენებისა და სულიერი დეგრადაციის აშკარა საფრთხე შეუქმნა, მოისპო საუკეთესო ქართული ჯენოფონდი.

მსოფლიო ტექნოლოგიურმა ნახტომმა და რუსეთის დიდმა ჩამორჩენამ ამ ბოლო დროს საბჭოთა იმპერიაც აიძულა დასდევებოდა მოწინავე ქვეყნებს, მაგრამ პროგრესთან მიახლოვება საზოგადოების დემოკრატიზაციის გარეშე შეუძლებელია. დემოკრატიზაციის პროცესებმა კი, თავის მხრივ, იმპერიაში დატყვევებულ ერთა თავისუფლებისაკენ ღრმად განაპირობეს. გამოფხიზლება დაიწყო ქართველი ერმა. ჩვენში დროის მცირე მონაკვეთში მრავალი პოლიტიკური საზოგადოება და პარტია წარმოიქმნა, რომლებიც მშობელი ერის სამსახურში ჩადგნენ და ერთადერთ წმინდათაწმიდა მიზნად საქართველოს თავისუფლება დასახეს. სხვა საკითხია, თუ რა გზით აპირებენ ისინი ამის მიღწევას.

ცალკეულ ერთა ბუნებრივმა ღრმად თავისუფლებისაკენ საიმპერიო ძალთა გადახალისებაც გამოიწვია. მრავალეროვან რესპუბლიკებში ამოქმედდა ხელგნურ ეთნოკრიზისთა წარმოქმნის მექანიზმი. გამოფხიზლების გზაზე შემდგარი მრავალჯეროვანი ქართველობა ახალ განსაცდელთა წინაშე აღმოჩნდა. შარშან, 9 აპრილს აფხაზეთში, ქვემო და შიდა ქართლი მოპყვა. უმაღლესი სეპარატისტთა გამცემლური, საღისურს-პროვოკაციული მოქმედებათა ჯაჭვის წყალობით ახალი წლის პირველივე დღეებში ძალზე გამწვავდა ვითარება შიდა ქართლში. მოხდა სამართლიანი საპროტესტო გამოსვლები ქალაქებში და სოფლებში. 5 იანვრიდან თბილისში, მთავრობის სახლის წინ მთელმა რიგმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა დაიწყეს შიმშილობის აქცია საქართველოს დამოუკიდებლობისა და კაცობის პოლიტიკურს წვერთა ჩამოსვლის მოთხოვნით. პარალელურად ვითარება გამწვავდა ამიერკავკასიის სასახლევრო ზონაში, აზერბაიჯანში, სომხეთში. გასათვალისწინებელია დამატებითი პოლიტიკური მდგომარეობა მთელს საბჭოთა იმპერიაშიც. ამას დაერთო ენერგეტიკული კრიზისი, საქალაქო ტრანსპორტის პარალიზება, გაფიცვები, მასობრივ და სხვა საშუალებათა გამოყენება დესტაბილიზაციის პროცესის გასახვილებლად და საერთოდ, ქალისა და უმარტავი პროცესების ინსცენირება. ყოველივე ეს ძალზე დამაფრთხილებელია.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას ევფი არ ეპარება თბილისის აქციის მომწყობ პატრონობა გულწრფელ განზრახვებში, მათ სურვილი, რომ თავდადებით ემსახურონ საქმობლოს კეთილდღეობასა და განვითარებას. თუმცა, როგორც ამ მოვლენებთან დაკავშირებით ერთმა საზღვარგარეთ მცხოვრებმა გამოცდილმა ქართველმა შენიშნა - "ზოგჯერ ჩვენს აქციებში სურვილი უფრო მეტია, ვიდრე საშუალება". ჩვენ ქელს ვიხრით იმ ადამიანთა წინაშე, რომლებიც სიცივისა და უამინდობის მიუხედავად საათობით დგანან მიტინგებზე, არ მიღიან სამუშაოდ და საკმაოდ შორ მანძილებზე ფეხით დადიან თბილისის გაყინულ ქუჩებში. მაგრამ ყოველივე ეს, ჩვენის აზრით, საბჭოური სინამდვილის ამ ეტაპზე, მრავალ შეცდომებსა და გაუგებრობებს ბადებს. ბუნდვანების გასაგონტავად ალბათ აუცილებელია თავიდან მოვიცილოთ დამლუპველი პოლიტიკური რომანტიზმი, სულსწრაფობა, ზედპირულობა და თვალში ჩაგვხელოთ სინამდვილე. განა ამ ხნის მანძილზე საბჭოთა იმპერიის სხმხელო-პოლიტიკური აპარატი ოდნავ მაინც შესუსტდა ან შეიცვალა? განა 1921 წელს საქართველოში ძალით შემოჭრილი წითელი არმია უკან გაბრუნდა? განა რუსის დიდმკობრული ფსიქიკა გამოიცვალა ან ჩაგრული ერებისადმი ვინმეს მეტი სიბრალული გრძობა გაუჩნდა? - ცხადია, არა! მამ რატომ ვკარგავთ რეალობის შეგრძნებას? ყველაზე ხომ შესანიშნავად ვიცით, რომ ღვთისცემ ცენტრალური ხელისუფლება საქართველოს გამოსვლას კავშირიდან არ დაუშვებს. განა მ.გორბაჩოვის ვიზიტი ლტვიაში ამ ჭეშმარიტების დასტური არაა? ამავე ვიზიტიდან ხომ ისიც კარგად გამოჩნდა, რომ იმპერიაში შემავალი ხალხები დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე წარმატებებს მხოლოდ გონიერი, წინდახეული მოქმედებით მოიპოვებენ. ღვთის, მიუხედავად იმისა, რომ დიდად ამაღლდა ეროვნული თვითშეგნება, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ იმპერიათა ნგრევა ისტორიულად საკმაოდ სისხლიანი პროცესია და რომ, ვთქვათ, რუმინელთაგან განსხვავებით მცირერიცხოვან ქართველობას ის საკუთარი არმია და ტანკები არ გააჩნია, რომლითაც დიქტატურას შეეძლოდა. ირგვლივ სასიკეთო და საიმელო მოვლენები ვითარდება, რომლის ფონზე ჩვენ დრო არ უნდა დავკარგოთ და გამბედავდეთ უნდა ვემზადოთ თავისუფალი საქართველოს მომავალ სივრცისათვის და შევეცადოთ ჩვენი სულსწრაფობისა თუ მოუზადებლობის გამო როგორმე პირველები არ აღმოვჩნდეთ იმ ნანგრევებში, რომელთა დახვავებაც ნამდვილად მოსალოდნელია. ვაჟაკობა უაზრო მსხვერპლის გაღება კი არაა, ვაჟაკობა და წინდახეულება მინიმალური დანაკარგებით მაქსიმალური შედეგების მიღწევაა. ამას გვასწავლიდნენ ჩვენი წინაპრები და ამის მაგალითებითაა აღსავსე საქართველოს ისტორია. ამასთან, გვსურს ყველას გასაგონად განვაცხადოთ, რომ ჩვენს ასეთ პოზიციას საერთო არაფერი აქვს შიმშილს და თუ სამშობლოსთვის სივრცის გაღება აუცილებელი შეიქნა, მაშინ ილია ჭავჭავაძის საზოგადოება ამის პირველ მაგალითებს მისცემს ყველას, ისევე როგორც ამას აკეთებდა მთელი იმ დაწყვეტილი 1989 წლის მანძილზე, როდესაც ჩვენს რიგებს მრავალი პატრიოტი გამოაქვდა. რადიკალიზმიც კონსტრუქციული უნდა იყოს! - აი, ჩვენი პოზიცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება მოუწოდებს ყველას ერთვულ ორგანიზაციას და პარტიას, მთელ ქართველ ერს, რომ მეტი ყურადღებითა და პატივისცემით მოვეცილოთ ერთმანეთის აზრსა და პოზიციას; კარგად გავარჩიოთ მტერ-მთავარი; ვიყოთ რეალისტები და ობიექტურად გავაანალიზოთ შექმნილი ვითარება; მუდამ გვახსოვდეს, რომ საქმე რუსულ იმპერიალიზმთან გვაქვს, რომლის არსებობა-ფუნქციონირება არ ექვემდებარება ბუნებრივ, ღვთისადადგინდელ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ნორმებს. ვებრძოლოთ დემონიზმს ეროვნულ მოძრაობაში! - აი, ჩვენი პოლიტიკური კრული.

მრავალ შობა-ახალწელს დაესწარით, ჩვენთა თანამემამულენო! გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სიხარულს, სიბრძენსა და ახალ გამარჯვებებს. ღმერთმა ინი

ბის და ეს ახალი წელი ილია ჭავჭავაძის მიერ დასახულ განთავისუფლების გზაზე ქართველი ერის შემობრუნების წელი გახდეს. თითოეულმა ქართველმა კარგად უნდა შეიგნოს, რომ ეროვნული თავისუფლების სხვა გზა ჩვენთვის მხოლოდ პოლიტიკური მორატია, რომელიც ერს უთუოდ ახალი სახის მონობამდე მიიყვანს. ილია ჭავჭავაძის საზოგადოება სწორედ იმიტომ არსებობს, რომ არ მოხდეს ასეთი გადახვევა. ქართველი ერი ილიას გზას ერთხელ უკვე ასცდა და ეს მაშინ მოხდა, როდესაც წიწამურთან ილია მოკლეს. შევლომები აღარ უნდა განმეორდეს.

ღვთისმშობელი აფარავდეს მის წილხვედრ ქვეყანას!
ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობა
14.01.90

რუმინეთის ეროვნული ხსნის შრომების საბჭოს თავმჯდომარის

გილვავთ მქვენი და მთელ რუმინელ ხალხს სისხლიანი კომუნისტური რეჟიმის უღრისაგან განთავისუფლებას და გისურვებთ წარმატებებს ახალი, თავისუფალი რუმინეთის პუბლიკური საზოგადოების შექმნაში.

ქელს ვიხრით მქვენი ქვეყნის თავისუფლებისათვის დაცემული გმირების წინაშე. დაე, ახალმა წელმა მშვიდობა დაგვიკვიროს მქვენი.
ილია ჭავჭავაძის საზოგადოება

საქართველო, თბილისი, 5.01.90

რუხ-ის კონფერენციაზე

13 იანვარს ქ.კიევიში გაიმართა უკრაინის სახალხო მოძრაობის (რუხ-ის) კონფერენცია. კონფერენციას ესწრებოდნენ დელეგატები ბალტიისპირეთის რესპუბლიკებიდან, ზაღრუსიიდან. სტუმრები მოწვეული იყვნენ აშშ-დან, გერმანიიდან, ავსტრიიდან.

კონფერენცია მიემდგნა უკრაინის სახალხო რესპუბლიკისა და დასავლეთ უკრაინის რესპუბლიკის ერთიანობის საკითხს. მომხსენებლებმა ჰლაპარაკეს რუსეთის მიერ უკრაინის ოკუპაციაზე, იმპერიაში მიმდინარე ე.წ. "პერესტროიკაზე". დაგმოხილ იქნა 9 აპრილს თბილისში მოწყობილი სისხლისღვრა და ამასი ერთხმად დაადანაშაულეს ღვთისმშობელი იმპერიული

მმართველობა.

კონფერენციას მივესალმე ილია ჭავჭავაძის საზოგადოების სახელით; ვილაპარაკე რუხ-საქართველოს ურთიერთობაზე, საქართველოში ღვთისმშობელი ვითარებაზე და ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე.

კონფერენციის მონაწილენი ერთხელ-განს იყვნენ იმაში, რომ იმპერიასთან ბრძოლაში უნდა გაერთიანდნენ ყველა რესპუბლიკები და მხოლოდ კოორდინირებული ბრძოლი არის შესაძლებელი კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ბარბაროსული წყობილების დამხობა.

დემურ ანთია

არჩევნების გოიკოტი

უნგრეთში, ისე როგორც აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებშიც, თვალსაჩინო პოლიტიკური ცხოვრების გამოცვლდება. მას შემდეგ, რაც 1989 წლის 23 ოქტომბერს უნგრეთი ნამდვილ რესპუბლიკად გამოცხადდა, პოლიტიკურ ასპარეზზე უკვე 41 პარტიას ითვლიან. თუმცა, პარტიულ-პოლიტიკურ ჯერჯერობით მხოლოდ 10 წამყვანი პოლიტიკურ პარტიას უყრია ხელი. ძირითად პარტიათა და ოპოზიციის შორის საპარლამენტო აღვლილებისათვის ბრძოლა 1989 წ. ნოემბრიდან გაჩაღდა. მაგრამ ბევრისათვის მოულოდნელად და გასაღვრად რადიკალურმა "დემოკრატთა ფორუმმა" სასტიკი ბოიკოტი გამოუცხადა როგორც საპარლამენტო, ისე საპრეზიდენტო არჩევნებსაც. ფორუმი აქტიურად მუშაობდა უნგრეთის მოქალაქეებს - არ

უნგრულად

წასულიყვნენ არჩევნებზე. დამკვირვებელთა გაოცებას ამ ბოიკოტთან დაკავშირებით მხოლოდ მაშინ მთელ ბოლო, როდესაც ფარდა აეხადა ფორუმის რეალურ მუცლის-გვერდსა და მიაცვიდეს "საილემო პაქტს". იგი დადებული იყო უნგრეთის წამყვან "სოციალისტურ პარტიასა" და ზემოხსენებულ "უნგრეთის დემოკრატიულ ფორუმს" შორის. ფორუმის მხრიდან ხელშეწყობა მძლავრი წინასაარჩევნო ბოიკოტის გაჩაღებას ითვალისწინებდა, რაც სოციალისტური პარტიის გამარჯვებას უზრუნველყოფდა. სა-მაგიეროდ, გამარჯვებულები მთავრობის შექმნისას გაითვალისწინებდნენ ფორუმის დამსახურებას და სათანადოდ წარმოადგინდნენ მას უნგრეთის მთავრობაში. აი, ზოგჯერ ასეთი გარკვევებიც ხდება თანამედროვე პოლიტიკაში!

მიმოვხუდი საფლავი

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ მსოფლიო პროლეტარიატის "მუშაველი" - კარლ მარქსის საფლავი ლენინში, პაი-გეტის სასაფლაოზე, დაზიანებული და უპატრონოდ მიტოვებულია. ეს ფაქტი საკმაოდ სიმბოლურია, რამდენადაც ამ ყავდგადას. სულმა სწავლებამ დასავლეთში და უკვე აღმოსავლეთშიც მრავალი მიმდევარი დაჰკარგა. ამიტომ გერმანულენოვანი კარლ მარქსის საფლავის მოვლა-პატრონობა ისევ დასავლეთ გერმანიის კანცლერმა პეილერ კოლმა იკისრა და სარესტავრა-

ციოდ გარკვეული თანხაც გაიღო.

ზემოაღნიშნულიდან დაკავშირებით ვეკითხებით ქართველ მარქსისტებს - სად გაქრა მქვენი პროლეტარული შემარება და სიგზიზღე? მქვენი ხომ მესამე დასიდან მოყოლებული მსოფლიო პროლეტარიატის (თუ საკუთარი?) ინტერესებისათვის ყველაზე უფრო თავგადაცვლილი აზიანებები იყავით. როგორ უნდა გაჯიოთ მქვენი ვინმე (მთა უმეტეს "პირმოშავი" ბურჟუაზიული ქვეყნის დიდებულმა), მქვენი მტრის კარლ მარქსის, რომა ლექსებში რგის პე თუნდაც ფორესის საფლავების მოვლა-პატრონობასა და ჭირისუფლის საკარის ქვეთიში?



გ ა მ ო თ ს ო ვ ე ბ ა

"ოთხი ფიცარი, ოთხი ფიცარი!
მკაცრი ფიცარი!..
ყველა მკვლარია! ყველა მკვლარია,
კაცი ვინც არი!"
მურმან ლებანიძე

"ჩემს მტერს არ ვრივი - იხაროს,
ერისა - ამოხარეთ..."
↑ მთავარეპისკოპოსი თაღლიზი
"ზურაბ ჭავჭავაძის ლევა"

ზურაბ ჭავჭავაძე...
რამოდენა ტკივილი და სასოწარკვეთა დაგვატება თავს მისმა უღრმო გარდაცვა-
ლებამ!..

ზურაბ ჭავჭავაძე...
არაჩვეულებრივად დიდუნებოვანი, მაღალი ინტელექტის, მაღალი გონიერების, მა-
ღალი ზნეობის მატარებელი, ენერგიული, შეუპოვარი, მაძიებელი, ბრძნულად რისკი-
ანი, სულით და ხორცივთ არისტოკრატი კაცი, ვისაც ყოველი მონაცემი პქონდა იმისა-
თვის, რომ მართალი, კეთილშობილი გზით ეტარებინა ერი.

ზურაბ ჭავჭავაძე, - ილიას სულიერი და ხორციელი ნათესავი. "ყოველად გონიერი,
წესიერი, კაცად ღამაზი... დიდი ილია ჭავჭავაძის საზოგადოების თვალსჩინი..."
(გურამ ლორიაშვილი).

ზურაბ ჭავჭავაძე არ იყო ის კაცი, სასიკვდილო სარეცელზე მწოლს თავისი ღამა-
ზი სიციხეზე რომ დანაწევრდა. განუხორციელებელი, ბრწყინვალე ჩანაფიქრები რომ
მიპქონდა იმქვეყნად, აღზდა ეს უკვდავად გულს, აღზდა ეს უმწარებდა უკანასკნელ
წუთებს... *

ვერა და ვერ ვეგუბებით იმ აზრს, რომ იგი აღარაა ჩვენს შორის. განუზომელია
სამუდამო განშორებით გამოწვეული მწუხარება...

27 დეკემბერი. დღეს ზურაბ ჭავჭავაძის ნეშტი სიონის კათედრალურ ტაძარში
უნდა დაასვენონ. დღის 12 საათია. ბინიდან გამოსვენების შემდეგ მცირე სამგლო-
ვიარო მიტინგი იმართება რუსთაველის პროსპექტზე, ოპერის გვერდით, სადაც ყოფილ
კადეტთა კორპუსში ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დროებითი ბინაა. საზოგადოების
გამგებობის წევრის ჯუმბერ კოპალიანის მოკლე სიტყვის შემდეგ ანსამბლი "გაზისი"
ასრულებს ილია ჭავჭავაძის საზოგადოების პიმნს "ჩემო კარგო ქვეყანავ", რომელიც
ასე ძალიან უყვარდა ზურაბს.

სამგლოვიარო პროცესია დაიძრა რუსთაველის პროსპექტზე. ჟღერენ ქაშუეთის ეკ-
ლესიის ზარები...

თავისუფლების (ახლანდელი ლენინის) მოედანი. აქ, ამ ადგილას 26 მაისს ზურა-
ბის ინიციატივით პირველად გაიმართა უსანქციო მიტინგი, რომელიც შემდეგ, ისევე
ზურაბის ინიციატივით, რუსთაველის მოედანზე გაგრძელდა (აქაც პირველად!). "რა
დიდებული, დარბაისური გზნებარებით მიჰყავდა იგი ზურაბს!..

სიონის კათედრალური ტაძარი. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა,
უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სამგლოვიარო მღვდელმსახურება აღასრულა
თავისი ხაყვარელი სულიერი შვილისათვის. დაიწყო გამოთხოვება... უკანასკნელი
ღამე წმინდა ტაძარში, ფსალმუნთა კითხვაში გათენებულ... დღის 8 საათი. წე-
სის აგება, წირვა... უწმინდესისა და უნეტარესის გამოსახულებით სიტყვები...

მანქანების გრძელი კოლონა ყვარლისაკენ დაიძრა. მშობლიურმა კახეთმა დიდი
სიყვარული გამოხატა უღრმოდ დაღუპული მამულიშვილისადმი. მუშტმეზარადი, თვალ-
ცრემლიანი ამაცი ახალგაზრდები გზის პირებზე ჩამწყვრივებულნი ეგებებიან და უკა-
ნასკნელ გზაზე ავილებენ ჭავჭავაძეების ღირსეულ შთამომავალს.

მგლოვიარე ყვარელი. ქადაქის მისაღობებთან ადგილობრივი მოსახლეობა მუხლ-
მყოფილი შეეგება საყვარელ შვილს... კახეთში ჩამოსახლებული სვანები სვანური
ზარით მიაცილებენ სამგლოვიარო პროცესიას, რომელიც ქადაქის ცენტრისაკენ მიე-

მართება, სადაც ილია ჭავჭავაძის მუზეუმის ტერიტორიაზე დგას ზურაბის წინაპარა
საგვარეულო ეკლესია იოანე ნათლისმცემლის სახელობისა. მასში უნდა დაიკრძალოს
ზურაბი. ეს ეკლესია აგებულია ზურაბის სახელობის წინაპრის, დადესტნის გენერალ
გუბერნატორის ნიკო ჭავჭავაძის მიერ, რომლის დავა და დამსახურება დადესტნისა
და კახეთის წინაშე საყოველთაოდაა აღიარებული. ბოლშევიკების მიერ გაუქმებული
და გაპარტახებული ეკლესია დიდი სიყვარულითა და რულენებით აღადგინა ზურაბმა,
შემდეგ კი დიდი ბრძოლაც გადაიტანა, რათა აემოქმედებინა იგი და ყვარლისათვის
ეს სულიერი განსაწმენდილი დაებრუნებინა. ეკლესიაში დაკრძალულ მამაპაპათა სა-
ფლავის ქვებზეც იზრუნა ზურაბმა. თავისი ადგილიც მოიწიშა, - თუკი ღრსი ვიქ-
ნებო...

ძამებშია ჩაფლული ზურაბის მამაპაპეული სახლიც, რომელიც ბოლშევიკებმა ჩამო-
არდვეს მათ 20-იან წლებში, ხოლო ზურაბის პაპა, ზურაბ ჭავჭავაძე ციმბირში გა-
დაასახლეს. სადაც 30-იან წლებში დაიღუპა შვილიშვილის - ზურაბ ჭავჭავაძის ასა-
კში - 36 წლისა... ეს სახლი მალე დაუბრუნდება ჭავჭავაძეების ოჯახს. მასში ორი
მუზეუმი გაიხსნება, ერთი დიდი ნიკოსი, ნათლისმცემლის ეკლესიის ამშენებლისა,
მეორე კი ზურაბ ჭავჭავაძის - ამავ ეკლესიის აღმდგენლისა და ეროვნული მოძრა-
ობის ბრწყინვალე, დიდი პოტენციის მქონე წარმომადგენლისა. (ეს, ფაქტურად ერო-
ვნული მოძრაობის მუზეუმი იქნება).

ილია ჭავჭავაძის მუზეუმის წინ, მოედანზე, იმართება სამგლოვიარო მიტინგი.
სიტყვებით გამოდიან ჯუმბერ კოპალიანი, ილი ბეროშვილი, მთავარეპისკოპოსი თა-
ღლიზი, ნაირა გელაშვილი, გიორგი მანსურაძე, ისინი უღრმესი პატივით აღიარებენ
ლაპარაკობენ ზურაბზე - ნათელ, უხალ პიროვნებაზე; იმ უმძიმეს დანაკლისზე,
რაც ზურაბ ჭავჭავაძის დაკარგვით განიცადა ქართველმა ერმა; იმ ვერცხობასა და
დაუნახავობაზე, რაც, სამწუხაროდ, ტრადიციულად მოსდგამს ქართველი ხალხის ერთ
ნაწილს...

იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში სამგლოვიარო მღვდელმსახურება აღასრულა ალა-
ვერდელმა მიტროპოლიტმა გრიგოლმა.

კუბო ზურაბ ჭავჭავაძის ნეშტით ჩაასვენეს მისი სულთაველი წინაპრების საფლა-
ვების გვერდით გაჭრილ სამარეში, ტრადიციული წესით ამოგებულ თაღვან აკლამაში.
წერტილი დაესვა ზურაბ ჭავჭავაძის ამქვეყნიურ ცხოვრებას...

მშვილობა, ზურაბ!.. რა უღრმოდ, რა უაზროდ წახვედი!.. ვერ გაგიფრთხილეთ,
მართლა ჩვენთ თვალსჩინო!..

"ოთხი ფიცარი, ოთხი ფიცარი! მკაცრი ფიცარი!..

ყველა მკვლარია! ყველა მკვლარია, კაცი ვინც არი!"

ეს სიმწრისა და უილაჯო ნაღველის გამოხატვითი სიტყვები, რა თქმა უნდა, ცო-
ცხადა სასაყვედუროდ არაა აქ მოყვანილი. ეს თხოვნაა, მუდარაა ცოცხალა მიმართ,
რომ ისინიც ისეთივენი გახდნენ, როგორებიც იყვნენ ზურაბ ჭავჭავაძე, მერაბ კოს-
ტავა, სხვანი და სხვანი, - ნათელი, წმინდა კაცები. ასე სჭირდება საქართველოს,
ზურაბ ჭავჭავაძის სათაყვანო მამულს.

ანზორ აბუხანდაძე

ქვემოთ ვაქვეყნებთ ქ.ყვარელში, იოანე ნათლისმცემლის
ეკლესიასთან გამართულ სამგლოვიარო მიტინგზე წარმოთ-
ქმულ სიტყვებს.

ჯუმბერ კოპალიანი:

ჭავჭავაძეთა გვარის გამორჩეული წა-
რმომადგენელი, გამორჩეული თავისი გო-
ნებით, თავისი შემართებით, თავისი ენე-
რგიით, თავისი ინტელექტით, ერუდიციით,
მიმტევებელური ხასიათით, ნამდვილი ქრი-
სტიანი ქართველი ვაჟკაცი, ჩვენი ზურა-
ბი დღეს უნდა მივაპაროთ ამ წმინდა მი-
წას. ვეღარ მოესწრო ჩვენი ზურაბი იმ
ბედნიერ დღეს, რომლისთვისაც ის იბრძო-
და ჩვენთან ერთად. ვერ მიველოცეთ, ჩემო
თანამემამულენო, ჩემო ყვარელენო; ვერ
მოგილოცათ თვისუფლება თავისი სამშობ-
ლისი; მაგრამ მე მინდა გისურვოთ, თქვენ
ყველას მალე მიველოცეთ მისთვის ის ბედ-
ნიერი დღე, რისთვისაც ჩვენი ზურაბი თა-
ვდალებით იბრძოდა და არ იშურებდა ენერ-
გიას, გონებას. მე ვახოვ ყვარლის მთებს,
თქვენთან ერთად, ფრავდეს ამ წმინდა მი-
წას, ჩვენი ზურაბის სახელს და მთელ სა-
ქართველოს, ქართველ ერს. მშვილობა, ჩემო
ნათელი ძმავო, ჩემო ზურა, ჩვენი ზურა!
ღმერთი ფრავდეს შენს სამშობლოს და რა-
გორც შენ იწყობი. ხოლმე, - ღმერთმა უთო-
ხლოს საქართველო ზურაბს!



მ. მენაბდის ფოტო

მთავარეპისკოპოსი

თაღლიზი:

... ემატება ზვიკურ საქართველოს დიდ
წინაპარა მადლთ ამ ქვეყანაზე დიდა
საქმეთა მოქმედი ღმირიანი შვილი ზუ-
რაბი, წმინდა იყო მისი ღმირი, არა
ნასწავლი, არამედ დეათსაგან ბოძებული.
დღეს ხარების წმინდა ეკლესია, იოანე
ნათლისმცემლის ხარების წმინდა ეკლესია
თავის გულში, წიაღში დიდმა პაპათა გვე-
რდით ჩაიხუტებს და ჩაიკრავს მის წმინ-
და, დაღლილ სხეულს. ხოლო მისი მტრედი-
ვით უმანკო სული აღიფრენს ჩვენთვის
უსასრულო სიფრცეს და დავებანება ღვთის
ნათელში, იმ ნათელში, სადაც აღამიანს
ვეღარ შეაწუხებს ერისაგან ერის დარაგ-
ვრა, პიროვნებისაგან პიროვნების დარა-
გვრა. და ეს ნათელი, უყვადვი სული მა-
რად იღვებს საქართველოსთვის.

ნათელი კაცი

(ზურაბ ჭავჭავაძის ხსოვნას)
სურამის ციხის ხავსიან კედლებს
მეხად ჩამოსკდა გმინვა და კვენესა,
დღეს საქართველო უფალს ავედრებს
თავდადებულს და ერთგულსა მებსა...
ნისლი ეხვევა - დღის მანდილი -
სამშობლოს მწვერვალს, მტრისგან მიუვალს,
ჭავჭავაძიან ულალო გვარს
პიროფლიანი მოყმე მიუვალს.
პიროფლიანი მიუვალს, ზურაბ,
უწმინდეს სანთლად, წმინდა კვლამბრად,
მამულისათვის მოვიჩინებულე
სხვა უფრო წმინდა ან რა გენახა.
აღვთის ლეკვი ნაპერწკლებს კვენსავს,
ზევის ცრემლები გულზე გადავდის,
და სულს გვიკორწინს გმინვა და კვენესა -
შვილო, სადამდის, ზურაბ, სადამდის?..



კიდევ ერთხელ გადმოვიხსენი უნივერსიტეტში დათაბული, დაბლა დახრილი ქართული ღრუბა. აპრილის იმ აგვბდობი და...

9 აპრილის უმანკო მსხვერპლი, აფხაზეთის ტრაგედიის ღრუს დაღუპულები,

აჭარის სტიქიური უბედურება, გამორჩეული ბიჭის - ირაკლი ლომიძის სიკვდილი,

მერაბ კოსტავა...

ზურაბ ჭავჭავაძე...

ისე გადაეხადა ერთმანეთს ამ ტრაგადულ ამბავთა წყება, რომ ვეღარც კი ვანაწივრებთ და ერთიანი საშინელების განცდად გადავხვევთ. ყველა გულში ნატრობდა სიკვდილის ნიშნით აღბეჭდილი 1989 წლის მადე ჩათავებებს, მაგრამ ბოლო კვირამაც უმოწყალოდ გვიმუხთდა...

ჩვენი განსაცდელი და გასააზრებელი. ვინ იღებს თავს და გადაწყვეტია იტყვის, რა იყო ყოველივე ეს ჩვენთვის: სასჯელი - გამორჩეულ ადამიანთა ჩვენგან განრიღების სახით, თუ საშველი - სინანულის გზით გადაარჩენის კიდევ ერთი შანსი და საშუალება... შენი ამგვარი დასასრული...

ახლა ვგაგვარა და ყველა რაღაცას ვგაფხურებთ, თითქოს გვინდა, სიცოცხლეში შენთვის დაკლებული სიბოძო და თანადგომისა ერთბაშად ავინაზღაურათ... განა არ ვიცით, ამით თითოეული ჩვენგანი საკუთარ თავს და სინდისს იმშვიდებს, თორემ, ვის ვის და შენი გვარის კაცს არ უნდა გაკვირვებოდა ქართველებისაგან ამგვარი საქციელი... შენთვის ჩვეული მიპყვებულობით მოუბგე შენს ვერდამნახვედ, მაგრამ შენსავე სათაყვანებელ ხალხს და სამშობლოს!

უნივერსიტეტის ახალგაზრდული პრეს-კლუბი

"თბილისის უნივერსიტეტი", 5.01.90

ზურაბ, მგირფასო ძმად და მეგობარო, აუტანელი ტკივილია ჩემთვის, რომ შენს საფლავთან ვგაგვარ და სამუდამოდ გემშვილდები. ვერ ურიგდება ამას ჩვენი გული და გონება, მაგრამ რა ვქნათ... ჩვენ ღვთის შვილები ვართ და ღმერთის ნებაზე მაღალი არაფერია ამ სამყაროში. მინდა მადლობა გადაგიხადო პირადად ჩემზე და საერთოდ, მაშვილიან მესხებზე გაწეული ამავისათვის. სამარადიანობა და სიციფე გამოპრავებდა. ყვედანაირად ზურაველი ჩვენი. როგორც უმეზარტი ქრისტიანი და ნამდვიდი ჩინილი გვედები გვერდით, გვიფარავდი, არ ერიდებოდი შენსკენ გამოსრული ქვეებს. რაც შეგებდა, ყვედაფერი გააკეთე ჩვენთვის. არ გასვენებულა საქართველოს უბედური შვილების - სამშობლოსაგან მო-

წყვეტილი მესხების ზანჯვა. ჩვენ, მაშვილიანი მესხები, მარდა უბედურ დღეზე ვყოფილვართ გარენილები - რადგან შენი და მერაბ კოსტავას თავი წაგვარდა სიკვდილით. ჩვენს გულში ანასტასეს წაიშლება თქვენი სიციფე და ვაჟაპრობა. მთაწმინდა და ყვარლის ეკლესია - მულა დაგვიბახებენ და ჩვენს მოგადა, როგორც დაგვადის ცხარეება. მადელი საქართველო ვლივობს და მოგტირის. მაგრამ მაშვილიანი მესხების გლავას სხვა სიმძიმე აქვს. მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა. შენი ლაცვა შეეწევა საქართველოს, და ჩვენც - მესხებს - რომ ღირსეულად ავიტანოთ ჩვენი ზანჯვა. მშვილდობა, ჩვენი მგირფასო ძმად.

ამირან ყურაძე



იური მეჩითოვის ფოტოები

სარდაქციო მინაწერი სარდაქციო მინაწერთა გამო

ამ ბოლო ღრუს ოფიციალურ პრესაში გამოქვეყნებულ ზოგიერთ წერილს რედაქციის მინაწერი ერთვის, რომლებიც რედაქციები თითქოს ბოლიშოვენ ამა თუ იმ წერილის გამოქვეყნების გამო და შენიშნავენ, რომ მასში გამოთქმულ თვალსაზრისს არ იზიარებს გაზეთისა თუ ჟურნალის რედაქცია. აღსანიშნავია, რომ ასეთი მინაწერები ძირითადად იმ წერილების ბოლოში ჩნდება, რომლის ავტორებიც არ ეთანხმებიან მცდარად გაბატონებულ სამიტინგო იდეოლოგიას. ჩვენ პატივს ვცემთ მიტინგზე მყოფ თითოეულ ქართველს და პროტესტის გამოხატვის ამ ფორმასაც, მაგრამ რა დასამადა, რომ სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში თავი იჩინა ნეობოლშევიზმის სამარცხვინო ტენდენციამაც, რაც, სხვათა შორის, განსხვავებული აზრისადმი აშკარა აგრესიასა და შეუწყნარებლობაშიც ვლინდება. ამასთან, ერთგული აღორძინების მოსურნე, წესიერი და, ამავე ღრუს, მწარე გამოცდილების მქონე ქართველი, იმის შიშით, რომ განსხვავებული აზრის გამოთქმისათვის ან გაფიქრებისთვისაც კი "ერის მოლატის", "მავნებელს", "სუკ-ის აგენტს" და სხვა რამ ათას სისამაგდეს დაუბახებენ, მღუპარედ ეპორჩილება ნეოლტატორს და იმ საბჭოური ჯოჯობების შიშით, საიდან გაქცევასაც იგი ღამობს, მისდაუნებურად ახალი ჯოჯობების კუმრსა და იმპივარში ექცევა. თითქმის ასეთსავე

ღღეშია ოფიციალური ყურნალ-გაზეთების რედაქციები. ისინი, საერთო ერთგული აღმავლობის მაცოცხლებელი ზეგავლენის მიუხედავად, ალბათ უფრო ძველი ყოფილი ინტერვალს გამო, ცდილობენ რამენაირად არ განარისხონ ახლადგამოჩევილი მტრბანებელ-ცენზორები. ქართველ ყურნალისტთა მოწინავე ნაწილმა შესანიშნავად იცის ჭეშმარიტი დემოკრატიისა და აზრთა მრავალფეროვნების მადლი და ძალა. სწორედ ამ მადლისა და ძალის წყალობით გახდა ესოდენ საინტერესო მრავალი ყურნალ-გაზეთი და ალბათ მისივე წყალობით, გარკვეული შიშის მიუხედავად, მაინც ქვეყნდება ახალი - ერთის იდეოლოგიისაგან განსხვავებული თვალსაზრისის მქონე ავტორთა წერილები, ხოლო რედაქციები თავის დაზღვევის მიზნით მინაწერებს აკეთებენ. "ივერიის" რედაქციას სურს დაამშვიდოს დაბნეულ-შეშინებული ქართული რედაქციები იმით, რომ დაქატურა დამოუკიდებელ საქართველოში (საფუძვლიან მიზეზთა გამო) ვერ იბოგინებს. ამასთან, შეახსენებს მათ, რომ თუ ისინი მართლაც დასდგომიან ჭეშმარიტი პუმიანიზმის გზას, ფლობენ პოლიტიკური რეაღრბის გრძნობას და უნდათ ემსახურონ მომავლის დემოკრატიულ საქართველოს, ნუ დაივიწყებენ ილია ჭავჭავაძის სიტყვებს: "რედაქცია - იგივე წმინდა ჭაპარია. ის უჩირქო უნდა იყოს, პირნათლად ემსახუროს ქვეყანას".

ქართული ენის სტატუსის დასაცავად

ქართული ენა, მართალია, კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ენაა და მისი ნორმალური ფუნქციონირების მიზნით სახელმწიფო პროგრამაც კია შემუშავებული, მაგრამ იმდენად ძლიერია ათეული წლების განმავლობაში დამკვიდრებული მახინჯი ტენდენცია ქართული ენის შეზღუდვისა რუსული ენის სასარგებლოდ, რომ დღესაც კი ძნელდება ამ საშინელი ინტერესის აღმოფხვრა. იღრა ჭავჭავაძის საზოგადოების ვამბეობის დავალებით უკვე რამდენიმე დევა თბილისის წარმოება-დაწესებულებებს ამ თვალსაზრისით ამოწმებენ ჩვენი საზოგადოების ვაკისა და გლდანის ფილიალების ახალგაზრდა აქტივისტები - ნიკა ანაძიძე, ავთო ქლენტი, ვიორგი ვაბისკირია, ირაკლი

კიკარეიშვილი, არჩილ დეკანოზიშვილი (ვაკის ფილიალი), ნოდარ, თემურ და ნუკრი ჩოხახაშვილები, პაატა შუბლაძე, ევა გეგეშიძე და სხვები (გლდანის ფილიალი). თბილისის წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებს ვახოვთ ხელი არ შეეშალნ ჩვენს აქტივისტებს ამ დავალების შესრულებაში. იმ ორგანიზაციების ხელმძღვანელებში, რომლებიც არაფერს აკეთებენ ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსის განხორციელებისათვის, მხილებული იქნებიან ჩვენი გაზეთის საშუალებით და დაყენებულ იქნება მათი შეცვლის ან გადარჩევის საკითხი.

გოგა ჩიტაიშვილი

გაშინებულ პოსტის მოსკოველი კორესპონდენტი დევიდ რემნიცი თავის ერთ-ერთ სტატიაში, რომელიც საბჭოთა კავშირში გადავიტეხულ ე.წ. "ენოკრიზისებს" ბუნებას შეეხება, საქართველოსთან დაკავშირე-

ბით შენიშნავს: "სამხრეთ ოსეთის ოლქში და აფხაზეთში აღგილობრივ სეპარატისტთა უზურუნება იქამდე მივიდა, რომ მათ თავისუფალი საქართველოს სამფროვან ღრუბას სისხლისფერი საიმპერო ღენინური ღრუბა ამჯობინეს."

ამა წლის 15 დეკემბერს "კრასნაია ზეზლაში" გამოქვეყნდა წერილი - "იტალიელი კომუნისტის სურს გამოსყიდოს ვ. ი. ლენინის ძეგლი" საიდანაც ირკვევა, რომ იტალიელი კომუნისტი, გამომცემელი ვინმე ნაპიდონი (ნაპიდონი ზონაპარტეში არ აგეროთ) აზრებებს თანხას, რათა შეიძინოს კრავოვის გარეუბან ნოვა-გუტაში დემონტირებული პროლეტარიატის ბედავის - ლენინის ძეგლი. ჩვენი რესპუბლიკის წინაშე კი, რომელიც იზრავის ცორონიკური დამოუკიდებლობისათვის, დგას ვალუტის შეგინს პიობლემა. ამიტომ შეგვიძლია საერთაშორისო ბაზარზე გავიტანოთ ლენინის რამდენიმე ძეგლი თუ ბიუს-

რედაქტორის მაგიერ: კახაბერ კახაძე
სარედაქციო კოლეგია: ანზორ აბუჯანაძე, გუბა აფაქიძე, იოსებ ზანბედაძე, თამარ ჩხეიძე,
საზოგადოების ღრუბითი მისამართი: ლენარსკის 2, III სართ. ტ: 93-39-32